ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4492506

ნომერი: AR1675904

თარიღი : 17.04.2019

გაცემის თარიღი : 08.05.2019

გაცნობის თარიღი : 08.05.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ალექსიძე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემური ქარქაშაძე პ/ნ 60001136491
- ქუთაისი სულხან-საბას გამზ. N 23 ბ. 39

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის

17 აპრილის NAR1675904 განცხადებით მომართა თემური ქარქაშაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა ალექსიძე, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.13.034.002), მრავალფუნქციური შენობის (სასტუმრო და მრავალბინიანი), კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2018 წლის 01 ნოემბრის №4245163 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 17 დეკემბრის №4308097 ბრძანებით
გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის N4222794 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: საზაფხულო ფართობი: 1121.7 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 1269.75კვ.მ,
დამხმარე ფართობი: 218.71 კვ.მ, კომერციული ფართობი: 250.52 კვ.მ, საერთო ფართობი: 10229.08 კვ.მ. ამასთან, 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 ბრძანებით შეთანმხებული გეგმები ჩანაცვლდა 2018
წლის 14 ნოემბრის NAR1644123 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
სამსახურის 2019 წლის 05 აპრილის №4448966 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: სასტუმროს ნომრების ფართობად დაფიქსირდა 948.2 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად 10235.2 კვ.მ. ხოლო, 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 ბრძანებით შეთანხმებული +3.60 ნიშნული გეგმა ჩანაცვლდა 2019 წლის 13 მარტს №AR1667694 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: N892018327590, მომზადების თარიღი: 25/04/2018 16:53:02) თანახმად, N01.10.13.034.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა შპს „ველე დეველოპმენტ“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია - B17011454, მომზადების თარიღი: 31/01/2017 13:02:00), შპს „ველე დეველოპმენტ“-ის (412724164) დირექტორს წარმოადგენს თემური ქარქაშაძე (პ/ნ: 60001136491).
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 ბრძანებით საპროექტო შენობა-ნაგებობა წარმოადგენს მრავალფუნქციურ შენობას (სასტუმრო და მრავალბინიანი), ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში სასტუმროს და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფართები ერთად არის დაფიქსირებული. შესაბამისად, წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილ იქნა აღნიშნული ფართობების ცალ-ცალკე დაფიქსირება.
განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია შესაბამისი გეგმები.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი - 10293.69 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი: 5312.46 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 1122.54 კვ.მ (მათ შორის: სასტუმროს საზაფხულო ფართობი: 177.46 კვ.მ, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საზაფხულო ფართობი: 572.12 კვ.მ, კომერციულის საზაფულო ფართობი: 372.96), კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი: 1051.18 კვ.მ (მათ შორის: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი: 998.29 კვ.მ, სასტუმროს კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი: 52.89 კვ.მ.), დამხმარე ფართობი: 598.67 კვ.მ (მათ შორის: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დამხმარე ფართობი: 101.48 კვ.მ, სასტუმროს დამხმარე ფართობი: 497.19 კვ.მ.), კომერციული ფართობი: 145.11 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი:

1113.86 კვ.მ, სასტუმრო ნომრების ფართობი: 949.87 კვ.მ.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 ბრძანებით შეთანმხებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით, „დამატებითი წარმოსადგენი დოკუმენტის pdf ფაილი“-ს ველში წარმოდგენილი გეგმებით.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ოქტომბრის №4222794, 2018 წლის 17 დეკემბრის №4308097 და 2019 წლის 05 აპრილის №4448966 ბრძანებებთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.